საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>დიმიტრი გვრიტიშვილი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 1.08.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

დიმიტრი გვრიტიშვილი

2024 წლის 1 აგვისტო, ქალაქი თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ნიკოლოზ მარსაგიშვილმა.

კანდიდატთა შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე - მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2024 წლის 22 ივლისს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატი, მათ შორის - ნიკოლოზ მარსაგიშვილი, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 91 ქულა, რაც „კანონის“ 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 91%-ს შეადგენს.

„საბჭოს“ 2024 წლის 22 ივლისის №1/75 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი.

შესაბამისად, ,,კანონის" 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2024 წლის 1 აგვისტოს ,,საბჭომ" ჩაატარა ღია კენჭისყრა მითითებულ კანდიდატთან დაკავშირებით, მათი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად, რომლის ფარგლებშიც **მივიღე გადაწყვეტილება - საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა**, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით გავიდა 1-ლ ადგილზე. ამდენად, როგორც აღმოჩნდა, ნიკოლოზ მარსაგიშვილი, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის დონის გათვალისწინებით, არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით, არამედ - ,,საბჭოს" სხვა წევრებმაც, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დიმიტრი გვრიტიშვილი